



საქართველოს ზრდასრულთა
განათლების ასოციაცია



სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის
საქართველოს ფილიალი

პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები

*შემუშავებულია “პროფესიული განათლების შესახებ”
კანონპროექტის ანალიზის საფუძველზე*

ლალი ბაქრაძე / ლიკა ღლონტი

თბილისი

2006

სარჩევი

წინასიტყვაობა	2
1. შესავალი	3
2. საქართველო პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაციის ანალიზი	4
2.1. ძლიერი მხარეები	4
2.2. სუსტი მხარეები	5
2.3. შესაძლებლობები	8
2.4. საფრთხეები	8
3. კანონპროექტის შესაბამისობა კონცეფციასთან	10
4. კანონპროექტის დადებითი მხარეები	16
5. კანონპროექტის ნაკლოვანებები	18
6. რისკ-ფაქტორები	19
6.1. მოკლევადიანი	19
6.2. გრძელვადიანი	22
7. რეკომენდაციები	24
8. სამოქმედო გეგმა	29
დანართი	32
წყაროები	39

წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევა მომზადდა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის (AEAG) დაკვეთითა და გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საქართველოს ფილიალის ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული "საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიული და იურიდიული ჩარჩოს შემუშავების დახმარების პროექტის" ფარგლებში მომუშავე ექსპერტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალისტების დასკვნები.

დიდი დახმარება აღმოგვიჩინა სადისკუსიო შეხვედრებმა და მრგვალმა მაგიდებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, აგრეთვე ევროპის განათლების ფონდის ექსპერტები. ამ შეხვედრებისა და საერთაშორისო სემინარების მოწყობისათვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტს.

განსაკუთრებული მადლობა ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრისა (CTC) და განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) ექსპერტებს კომპეტენტური რჩევებისათვის და ხელნაწერის გადახედვისათვის.

იმედი გვაქვს, რომ "პროფესიული განათლების შესახებ" კანონპროექტის წარმოდგენილი ანალიზი დაეხმარება ყველა დაინტერესებულ მხარეს, უკეთ გაიაზროს და გაიზიაროს დაგეგმილი რეფორმის პრინციპები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების სისტემის გარდაქმნაში.

1. შესავალი

დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე, პროფესიული განათლების სოციალურ პარტნიორებს შორის დიალოგის წახალისების გზით, პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებისა და მათი შემდგომი განხორციელების აქტიური ხელშეწყობით, პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარების უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდა:

- პროფესიული განათლების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება;
- სფეროში არსებული ნორმატიული ბაზისა და კანონპროექტის შედარებითი ანალიზი;
- კანონპროექტის შესწავლა და მისი დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების გამოყოფა;
- კანონპროექტის განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი რისკ-ფაქტორების განსაზღვრა;
- ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2. საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაციის ანალიზი

ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიმოხილვაზე დაყრდნობით და ქვემოთ მოცემული სტრუქტურის გამოყენებით შესაძლებელია შევაფასოთ სისტემის შესაძლებლობები რეფორმის კონტექსტში, განვსაზღვროთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, და ის შესაძლო საფრთხე, რომელიც პროფესიული განათლების სფეროს შეიძლება ემუქრებოდეს.

2.1 ძლიერი მხარეები:

- **სახელმწიფოს პოლიტიკური ნება** - საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ოფიციალურ მიმართებებსა და დადგენილებებში ხაზს უსვამს განათლების პირველხარისხოვან მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობის რეფორმისტული დამოკიდებულება პროფესიული განათლებისადმი აისახა “პროფესიული განათლების კონცეფციაში”, რომელიც მთავრობამ 2005 წლის 31 აგვისტოს # 150 დადგენილებით მიიღო. მანამდე, 2005 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობის # 30 დადგენილებით შეიქმნა პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის სამთავრობო კომისია. კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ 2006 წლის შემოდგომაზე საჯარო განხილვის მიზნით განთავსდა სამინისტროს ვებ-გვერდზე. კონცეფციასა და კანონპროექტში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორი იქნება პროფესიული განათლების სისტემა, რა პრინციპებსა და ფილოსოფიას დაეყრდნობა იგი. შემოთავაზებული საკანონმდებლო ბაზა რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. უმაღლესი და სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა ნათლად აჩვენა სახელმწიფოს პრინციპული დამოკიდებულება რეფორმისადმი, რაც პროფესიული განათლების სფეროშიც წარმატებული რეფორმების საწინდარია.

- **მზარდი მოთხოვნილება პროფესიულ კადრებზე** - ბოლო წლებში მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა ხელს უწყობს ინვესტიციებს და ეკონომიკის განვითარებას, რაც ასევე ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე; გამოიკვეთა პროფესიული კადრების არსებობის საჭიროება. ტურიზმი და მომსახურების სფერო, მშენებლობა, მეღვინეობა და ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, აგრეთვე ჯანდაცვა და სხვა მრავალი სფერო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გარდა საჭიროებს სპეციალურად მომზადებულ პრაქტიკოსებს, რომლებსაც შეეძლებათ კონკრეტული პრობლემების გადაჭრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპი მოითხოვს ამგვარი კადრების სწრაფ მომზადებას, რასაც სწორედ პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტემა უნდა უზრუნველყოფდეს.

- **ევროინტეგრაცია** - განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმა ცდილობს შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოში როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული

განათლება საერთო ევროპულ სტანდარტებთან. უმაღლესი განათლების სფეროში ამას ხელს უწყობს ბოლონის პროცესში გაწევრიანება. პროფესიული განათლების შემთხვევაში, მართალია, საქართველო ვერ იქნება კოპენჰაგენის პროცესის მონაწილე, მაგრამ როგორც კონცეფცია, ისევე კანონპროექტი მაქსიმალურად აახლოვებს ქართულ სისტემას ევროპულთან, რაც მომავალში ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობის საწინდარი უნდა იყოს (2006 წლის ოქტომბერში საქართველო ჩაერთო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში, რომლის სამოქმედო გეგმაც ითვალისწინებს არა მარტო უმაღლესი, არამედ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ევროპულ სივრცესთან ჰარმონიზაციას).

- **მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა** - პროფესიული განათლების რეფორმა სრულებით წარმოდგენილია სამუშაო, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის სრულყოფის გარეშე. დღეს საქართველოში მიმდინარეობს რეფორმები აღნიშნულ ყველა სფეროში, რომლებიც კარგ ფონს ქმნის პროფესიული განათლების რეფორმირებისათვის. უკვე არსებობს განათლების სისტემის ცალკეული სექტორების რეფორმირების გარკვეული გამოცდილება.

- **რეფორმის სურვილი** - ბოლო დროს ქართულ საზოგადოებასა და მასმედიაში განათლების სისტემის რეფორმამ მწვავე დიკუსია გამოიწვია. თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები. დისკუსიაში აქტიურად მონაწილეებს არასამთავრობო სექტორი. ამ დისკუსიის საერთო პათოსი ერთია: "რეფორმას ალტერნატივა არ აქვს".

- **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** - ქვეყანაში გამოიკვეთა მაკროეკონომიკური სტაბილურობის კონტურები. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი. მთავრობა ცდილობს შექმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო უცხოური კაპიტალდაბანდებებისთვის. ქვეყნის ბიუჯეტის ზრდა პროფესიული განათლების რეფორმის წარმატების გარანტს წარმოადგენს.

2.2 სუსტი მხარეები:

- **დაბალი პრესტიჟი** - პროფესიულ განათლებას, და განსაკუთრებით დაწყებით პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას, უმაღლესისგან განსხვავებით საქართველოში მაღალი პრესტიჟი არ გააჩნდა. საბჭოთა პერიოდში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები არსებითად დამსჯელი დაწესებულებების როლს ასრულებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაბალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე მოსწავლეებისათვის. საყოველთაოდ ცნობილი იყო რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლისადმი დაბალი მოთხოვნები არსებობდა, რასაც ხშირად იყენებდნენ წარჩინების დიპლომისა თუ მედლის მისაღებად იქ გადასული მოსწავლეები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში კონკურენციას ვერ უძლებდნენ. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მქონე პირების სამუშაო ადგილის მოუწყობლობა, მძიმე სამუშაო პირობები გარკვეულწილად აღნიშნული განათლების არაპრესტიჟულობას უწყობდა ხელს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის დასაწყისშიც სახელმწიფომ პრიორიტეტულად არ მიიჩნია პროფესიული განათლება. სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად, მოსამზადებელი პროფესიების სტრუქტურისა და სწავლების შინაარსის არშეცვლამ, საბჭოთა დროის

მტერიალურ-ტექნიკური ბაზის განუახლებლობამ, დამანგრეველად იმოქმედა სწავლების პროცესსა და სწავლის ხარისხზე, რასაც მოყვა კიდევ ამ სასწავლებლების რეპუტაციის კიდევ უფრო დაკნინება.

- **პროგრამების, სასწავლო მასალებისა და სპეციალურად მომზადებული პედაგოგების არარსებობა** - საქართველოს პროფესიული სკოლების რეფორმის გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას თანამედროვე პროგრამების, სახელმძღვანელოების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე და სწავლების მოძველებული მეთოდოლოგია წარმოადგენს. სასწავლო ინფრასტრუქტურა, სახელოსნოები, ბაზები მოძველებულია და არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, რის გამოც, ხშირად, თეორიული სწავლა შესაბამისი პრაქტიკის გარეშე მიმდინარეობს. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა თანამედროვე სახელმძღვანელოების, სასწავლო-ვიზუალური საშუალებების თვალსაზრისით. ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილების პარალელურად აუცილებელია სასწავლო პროცესის ლიტერატურით, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიით და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. რაც შეეხება ახალი პროგრამების განვითარებას, აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ცხადია, ახალი საგანმანათლებლო რეალობა სპეციალურად მომზადებულ პედაგოგიურ კადრებსაც მოითხოვს.

- **წარმოებასთან კავშირის არარსებობა** - ცალკე პუნქტად უნდა გამოიყოს არა მხოლოდ შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური ბაზის სიმწირე და/ან ხშირ შემთხვევაში არარსებობა, არამედ გაწყვეტილი კავშირები საწარმოებთან, შეჩერებული დიალოგი დამსაქმებლებთან და არც თუ იშვითად ამგვარი დიალოგის წარმართვის უნარისა და გამოცდილების არარსებობა. საბჭოური ტრადიცია პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს ხშირად კონკრეტულ საწარმოებთან აკავშირებდა, სადაც კურსდამთავრებულთა პრაქტიკა და შემდგომი დასაქმება გარანტირებული იყო. დღევანდელი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში პროფესიულმა სკოლებმა თავად უნდა მოიძიონ პარტნიორები და დამსაქმებლები.

- **პროფორინტაციის სისტემის არარსებობა** - სერიოზულ პრობლემებს უქმნის პროფესიული განათლების განვითარებას. აბიტურიენტების გადაწყვეტილება აირჩიოს ესა თუ ის პროფესია/სპეციალობა ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელია და არაა დამყარებული არც პროფესიონალის რჩევასა და კონსულტაციაზე და არც შრომის ბაზრისა და დასაქმების პერსპექტივების კვლევაზე.

- **სამოქალაქო სექტორის დაბალი ინტერესი** - სამოქალაქო სექტორის განვითარებულმა ქსელმა მნიშვნელოვან შეუწყო ხელი საქართველოში დემოკრატიის მშენებლობას და კონკრეტული რეფორმებისათვის საზოგადოების მომზადებას, მათ შორის განათლების სფეროში. მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია მხარს უჭერს სასკოლო და უმაღლესი განათლების რეფორმას. სამწუხაროდ, პროფესიული განათლების რეფორმასთან მიმართებაში არასამთავრობო ბევრად უფრო ნაკლები აქტივობით გამოირჩევიან, მაშინ როდესაც ამ სექტორის მხარდაჭერა რეფორმის წარმატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლება მხოლოდ ერთეული არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესების სფეროში შედის.

- **ინფორმირებულობის დაბალი დონე** - მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასმედია ცდილობენ საზოგადოებას, აკადემიურ წრეებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს მიაწოდონ ინფორმაცია მიმდინარე რეფორმის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ფართო საზოგადოებას მაინც არ აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია პროფესიული განათლების რეფორმასთან დაკავშირებით. რეფორმა წარმატებული ვერ იქნება, თუკი საზოგადოებას არ ექნება სრულფასოვანი და ამომწურავი ინფორმაცია პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

- **არასაკმარისი ფინანსური რესურსები** - რეფორმის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია განათლების სფეროს მიმართ სახელმწიფოს სწორ ფინანსურ პოლიტიკაზე. არსებული დაფინანსება რეფორმის წარმატების გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან არამოტივირებული პედაგოგები, არასაკმარისად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროექტები და სასწავლო პროცესი რეფორმას საფრთხის წინაშე დააყენებს.

- **სუსტი ან საერთოდ არარსებული კავშირი განათლების სისტემის სხვა რგოლებთან** - პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემა ორგანულად დაკავშირებული არაა განათლების სისტემის სხვა სფეროებთან. მთლიანად განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მეტად მოქნილი, ხოლო სასწავლო და შრომითი კარიერის გზა უფრო გამჭვირვალე და გასაგები. პროფესიული განათლების არც ერთი საფეხური არ უნდა განიხილებოდეს, როგორც კარიერის ჩიხი – უნდა არსებობდეს სწავლის გაგრძელების საშუალება სასწავლო "ტრაექტორიის" ნებისმიერი წერტილიდან. სამწუხაროდ, ამჟამად არსებული პროფესიული განათლების სისტემა ამის საშუალებას არ იძლევა. ერთის მხრივ არ არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვისა და ზრდასრულთათვის პროფესიული ორიენტაციის (კონსულტაციის, დახმარების) სისტემა. მეორეს მხრივ, განათლების სისტემა არაა იმისთვის მზად, რომ აღიაროს/ცნოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შედეგები.

- **ზრდასრულთა განათლების უგულებელყოფა** – დღესდღეისობით ქვეყანაში არ არსებობს ზრდასრულთა განათლების, მომზადებისა და გადამზადების მწყობრი სისტემა, არადა ეკონომიკური განვითარების ფონზე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

2.3 შესაძლებლობები:

- ახალგაზრდობის დასაქმება
- ზრდასრულთა გადამზადება
- პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლება
- პროფესიული სექტორის გაძლიერება
- უმაღლესი განათლების დივერსიფიკაცია - პროფესიული და აკადემიური პროგრამების განვითარება
- ევროინტეგრაცია

2.4 საფრთხეები:

- **არასტაბილურობა** - ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს ეთნოკონფლიქტები. მართალია, ამ ეტაპზე კონფლიქტები დაკონსერვებულია, მაგრამ ყოველთვის არსებობს მათი ესკალაციის საფრთხე, მითუმეტეს რუსეთთან ამჟამინდელი დაძაბულობის ფონზე. თუკი კონფლიქტების შეიარაღებულ დაპირისპირების სახეს მიიღებს, მაშინ პროფესიული და საერთოდ განათლების ყველა სფეროს რეფორმა შესაძლოა საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან ეთნიკური კონფლიქტების ესკალაცია გამოიწვევს მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას და განათლების რეფორმის მეორე პლანზე გადაწევას.

- **რეფორმების დაუფინანსებლობა** - რეფორმის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დაფინანსების მოცულობაზე. გამოყოფილი თანხები ჯერ კიდევ მწირია და ვერ უზრუნველყოფს რეფორმის ეტაპების სრულფასოვან განხორციელებას. პროფესიული განათლების სფეროში ძირეულად შესაცვლელია არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ შესაქმნელია ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და რაც მთავარია საჭიროა შესაბამისი ანაზღაურების მქონე მასწავლებლები. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში "ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის" საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტებში აღნიშნულია განათლების სისტემის ინსტიტუციური და პროგრამული რეფორმირება, ხარისხიანი განათლებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის ხელშეწყობა, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების რეფორმა და გადამზადების ხელშეწყობა, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გაწერილ ხარჯებში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემა საერთოდ არაა ნახსენები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმების არასაკმარისმა დაფინანსებამ შესაძლოა შეზღუდოს დაინტერესებულ პირთა ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე: თუ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე პროფესიული განათლების დაწესებულება შეიქმნა, ეს არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებს სახელობო განათლების მიღების

მსურველებს – საცხოვრებელი ადგილიდან შორს, სხვა ქალაქში სწავლა დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

- **დროის უკმარისობა რეფორმებისათვის** - უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმამ, ინსტიტუციური აკრედიტაციის ჩატარებამ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის შემცირება გამოიწვია, რაც თავისთავად აბსოლუტურად დადებითი მოვლენაა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას გულისხმობს. ამავდროულად მცირდება აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო ადგილების რაოდენობაც (საქართველოში 39 უმაღლესი დარჩა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა სასწრაფოდ უზრუნველყოს სკოლის კურსდამთავრებულები-სათვის სწავლის გაგრძელების ალტერნატიული – პროფესიული სისტემის შექმნა, რაც სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პედაგოგების მომზადებას და ა.შ. გულისხმობს. ნაკლებ სავარაუდოა ერთ წელიწადში ამხელა მოცულობის სამუშაოების შესრულება.

3. კანონპროექტის შესაბამისობა კონცეფციასთან

კანონპროექტი „პროფესიული განათლების შესახებ“ შემუშავებულია საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის საფუძველზე. ცხადია, ფორმისა და სტრუქტურის თვალსაზრისით ეს ორი დოკუმენტი განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით კანონპროექტი კონცეფციის მემკვიდრეს წარმოადგენს. კანონპროექტი არა მარტო არსებითად ასახავს კონცეფციის სულისკვეთებას, არამედ უფრო წინ წავიდა და რიგ საკითხებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და დაიხვეწა, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. კანონპროექტის შემდგომი განვითარება ლოგიკური შედეგია ჯერ კონცეფციის და შემდეგ კანონპროექტის მომზადების პროცესის საჯაროობისა და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფისა.

პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები

კონცეფციაში, დოკუმენტის არსიდან გამომდინარე, განხილულია მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროა რეფორმების აუცილებლობის დასასაბუთებლად. ასახულია პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაცია და ნაჩვენებია ის პრობლემები, რომელთა გადაჭრა სერიოზულ რეფორმირებას საჭიროებს. კონცეფციაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად მომენტებზე:

- საქართველოს პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლები
- პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები
- პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემა
- პროფესიული საგანმანათლებლო ქსელების ოპტიმიზაცია
- პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, კვალიფიკაციების შეფასება, დადასტურება და მინიჭება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე სტრატეგია არ იყო აქ მკაფიოდ გამოკვეთილი)
- მეწარმეობის ასახვა პროფესიულ განათლებაში
- საზოგადოებრივი თანამშრომლობა პროფესიულ განათლებაში და პასუხისმგებლობის გადანაწილება
- პროფესიული განათლების სისტემის მართვა

პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზნის სიცხადე და შესასრულებელი ამოცანების რეალურობა. კონცეფციით პროფესიული განათლების მიზნებად გამოცხადდა შემდეგი:

1. მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
2. ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით;
3. დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;
4. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების გზით.

კანონპროექტში განხორციელდა მიზნების (მუხლი 3) შემდგომი გავრცობა. ზემოაღნიშნულ ოთხ მიზანს კიდევ ოთხი დაემატა:

1. პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა მობილობის წახალისება;
2. პროფესიული განვითარების პრობლემის და დასაქმების პრობლემის შექმნა პირებისათვის, რომლებიც საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ იმყოფებიან;
3. უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება;
4. პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო - სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციაში მოცემული მიზნები უფრო ზოგადი და მაკრო-დონეზე დასახული მიზნებია. კანონპროექტში დამატებული მიზნები კი უფრო კონკრეტული და სისტემაზე ორიენტირებულია. მაგალითად სტუდენტის მობილობის წახალისება, პროფესიულ განათლებაში სასწავლო - სამეწარმეო პარტნიორობის განვითარება, ან უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება. რაც შეეხება ფორმულირებას "პროფესიული განვითარების პრობლემის და დასაქმების პრობლემის შექმნა პირებისათვის, რომლებიც საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ იმყოფებიან" იგი კონცეფციაში მოცემულ პირველი მიზნის დაკონკრეტებას წარმოადგენს.

კანონპროექტში დამატებული მიზნებიდან, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“. აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ უკეთესი იქნება თუ იგი შეიცვლება ფორმულირებით: „სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე“ კონცეფციის განვითარება.

კონცეფციასთან შედარებით, კანონპროექტში უფრო სერიოზული ცვლილებები განხორციელდა მიზნების შესაბამისი ამოცანების ფორმულირებისას. მათი დიდი ნაწილი სერიოზულად დაიხვეწა. მაგალითად, კანონპროექტში აღარ ვხვდებით ისეთ ტერმინს, როგორცაა: „სახელმწიფო-საზოგადოებრივი სისტემა“. იგი სერიოზულ გაუგებრობებს იწვევდა.

პროფესიული განათლების სახეები და ადგილი განათლების სისტემაში

კანონპროექტში აღნიშნულმა საკითხმა კონცეფციასთან შედარებით არსებითი ცვლილებები განიცადა. კონცეფციით შემოთავაზებულ იქნა ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცისა და პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე უნდა აიგოს. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში კონცეფცია განასხვავებს პროფესიული განათლების სამ დონეს:

1. დაწყებით პროფესიულ განათლება;
2. საშუალო პროფესიულ განათლება;
3. უმაღლეს პროფესიულ განათლება.

პირველი ორი დონე (დაწყებითი და საშუალო პროფესიული) აიგება სავალდებულო 9 წლიანი სასკოლო განათლების ბაზაზე. უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამები აიგება საშუალო განათლების საფუძველზე, ამასთან უმაღლეს

პროფესიულ პროგრამებზე დაშვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუვლელად, რაც პრობლემებს წარმოშობს.

პროფესიული განათლების მოცემული დონეების შესაბამისი სასწავლო პროგრამების პარალელურად კონცეფცია განიხილავს ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისა (შესაბამისი საფეხურის სასწავლებლებში) და ზრდასრულთა მომზადება - გადამზადების პროგრამებს (პროფესიული განათლების ცენტრებში).

ზემოაღნიშნული საკითხების დარეგულირება ძირითადად განხორციელდა კანონპროექტის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მუხლებით. ისინი აყალიბებენ პროფესიული განათლების ახალ სტრუქტურას. აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე პროფესიული განათლება შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური განათლების შიგნით გამოიყოფა ორი დონე:

1. სახელობო პროფესიული;
2. უმაღლესი პროფესიული.

სახელობო განათლების მიღების პირობებიდან გამომდინარე (მუხლი 5, პუნქტი „6“) მან თავის თავში გააერთიანა კონცეფციაში მოცემული დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლება. კანონპროექტით გარკვეული არაა სახელობო პროფესიული განათლების შიგნით ერთზე მეტი საკვალიფიკაციო დონის არსებობა. ამასთან არც ამის ამკრძალავ ნორმას ვხვდებით სადმე. კანონპროექტის მეშვიდე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: „სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 წელს“. ე.ი. დადგინდა მხოლოდ ზედა სავალდებულო ზღვარი, რომლის გადამეტებაც სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არ შეიძლება. ეს წარმოადგენს ერთადერთ ირიბ დადასტურებას იმისას, რომ შესაძლებელია სწავლების ხანგრძლივობისა და მიღებული კომპეტენციების შესაბამისად სახელობო განათლების შიგნით გამოიყოს სულ ცოტა ორი საკვალიფიკაციო დონე მაინც.

სერიოზული ცვლილება განიცადა ასევე უმაღლეს პროფესიულ განათლებაზე დაშვების საკითხმაც. კანონპროექტით მისი რეგულირება გადამისამართებულია „უმაღლესი განათლების კანონზე“. ეს უდავოდ დადებითი მომენტია. იგი არა მარტო ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებას, არამედ რეალურად აამაღლებს მის ხარისხსაც. ამით გადაიჭრა უმაღლეს პროფესიულ განათლებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით მოხვედრის პრობლემაც.

კანონპროექტმა კონცეფციისაგან განსხვავებით შემოიტანა „არაფორმალური განათლების“ ცნება (მუხლი 5, პუნქტი 4) და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია შესაძლებელი ხდება არაფორმალური განათლების მეშვეობით მიღებული კვალიფიკაციის ატესტაციის მეშვეობით აღიარება (მუხლი 6, პუნქტი 3).

კონცეფციასთან მიმართებაში კანონპროექტის მორიგ წინგადაგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პროფესიული განათლების სფეროში რეგულირებადი პროფესიების არსებობის საკითხის დაყენება. მართალია, კანონპროექტი არ გვთავაზობს კონკრეტულ პროფესიებს (როგორც ეს მოცემულია კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“), მაგრამ გვადლევეს ძირითად ორიენტირებს ამ პროფესიების დასადგენად.

კერძოდ, მეცხრე მუხლის პირველი პუნქტით შემოთავაზებულია შემდეგი ნორმა: „მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის ჯანმრთელობასთან, პიროვნების განვითარებასთან და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესთან, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით“.

აღნიშნული დადებითი ხასიათის ცვლილებების მიუხედავად კანონპროექტმა არ ასახა კონცეფციით დაყენებული საკითხი ზრდასრულთა მომზადება - გადამზადების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ იგი წარმოადგენს სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს.

რაც შეეხება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, იგი კანონპროექტში კონცეფციასთან შედარებით უფრო მოკრძალებული სახით წარმოჩინდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კონცეფციის თანახმად კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია პროფესიული განათლების პროგრამის განმახორციელებელ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში: „ასეთი პროგრამები განხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში, პროფესიული განათლების ცენტრებში, უნივერსიტეტებში, საწარმოებში და ა. შ.“ კანონპროექტის მეექვსე მუხლის მეორე პუნქტით კი „პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდნენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტრუქტურირებულ გარემოში“. კანონპროექტის მეორე მუხლის „რ“ პუნქტით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება განმარტებულია, როგორც მხოლოდ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი.

პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა თუ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

კვალიფიკაციების შესადარობის, ტრანსფერის, აღიარებისა და გამჭვირვალობის საკითხი, შეიძლება ითქვას, ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში დღეს ყველაზე წინა პლანზეა წამოწეული. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა როგორც კოპენჰაგენის, ასევე ბოლონიის პროცესის ფარგლებშიც. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ასევე კონცეფციაშიც და შემდგომ გარკვეული ცვლილებებით ასახვა ჰპოვა კანონპროექტშიც.

კონცეფციის თანახმად: „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის შემუშავების მიზანია პროფესიათა სისტემატიზაცია დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კვალიფიკაციების შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების ერთიანი და შესადარი სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული სტანდარტების შესამუშავებლად წინაპირობების მომზადება“. სისტემატიზაცია გაგებულია, როგორც ქვეყანაში არსებული პროფესიათა ჩამონათვალი და მათი აღწერა პროფესიული სტანდარტებით.

კანონპროექტში კონცეფციის ტერმინი „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“ ტრანსფორმირდა „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოდ“, რომელიც განმარტებულია როგორც „დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზირებულია საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია და კვალიფიკაციათა დონე“ (მუხლი 2, პუნქტი „ვ“).

ტერმინები განსხვავებულია, მაგრამ შინაარსი ფაქტობრივად ერთი და იგივეა. ახალი ტერმინი ასევე ორიენტირებულია *მხოლოდ პროფესიული* განათლების დონეზე არსებული პროფესიებისა და კვალიფიკაციების სისტემატიზაციაზე. აღნიშნულ განმარტებას უფრო შეეფერება კონცეფციაში მოცემული ტერმინი - *პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა*.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო უნდა წარმოადგენდეს დოკუმენტს, რომელშიც აღწერილი იქნება განათლების სისტემის ყველა საკვალიფიკაციო დონე/საფეხური და მათი ლოგიკური ურთიერთკავშირი, მოქნილი სასწავლო გზების ფართო დიაპაზონის ჩვენებითა და საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების გამჭვირვალობა-აღიარებისათვის აუცილებელი საერთო კრიტერიუმების გათვალისწინებით.

კონკრეტული პროფესიების სისტემატიზაცია და პროფესიული სტანდარტის შემუშავება წარმოადგენს აუცილებელ და მნიშვნელოვან შემდგომ ნაბიჯს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარების პროცესში. საერთოდ კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო წარმოადგენს საფუძველს კონკრეტულ პროფესიისათვის ერთიან ეროვნულ საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო სისტემაში ადგილის მოსამუშაოდ.

სისტემის მართვა

კონცეფციით შემოთავაზებულ იქნა პროფესიული განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზებული მოდელი. ფუნქციები გადანაწილებულია სახელმწიფო და რეგიონულ დონეებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის. აღნიშნული იდეა შენარჩუნებული და დაკონკრეტებულია კანონპროექტის მიერ. სისტემის მართვა გადანაწილებულია ცხრა კომპეტენტურ ორგანოს შორის (მუხლი 10).

უნდა აღინიშნოს რომ კონცეფციის ერთ-ერთი პრინციპი, პროფესიული განათლების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობისა და მუდმივი დიალოგის არსებობის შესახებ, კანონპროექტში აისახა, როგორც სახელმწიფო, ისე დაწესებულებების მართვის დონეზეც.

პროფესიული საბჭოებიდან ეროვნულ პროფესიულ სააგენტომდე

კანონპროექტის თანახმად სისტემის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს ეროვნული პროფესიული სააგენტო. კონცეფციაში ხსენებული სააგენტოს წინამორბედს წარმოადგენდა პროფესიული საბჭოები. ხსენებულ ორგანოთა საქმიანობის მიზნები იდენტურია. ამასთან ცხადია, რომ შესაბამისი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნის (გათვალისწინებულია მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით) გარეშე პროფესიულ სააგენტოს დასახული მიზნების მიღწევა გაუჭირდება.

პროფესიული სწავლების ცენტრის მართვა

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოებიდან ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს პროფესიული სწავლების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოები. კონცეფციამ მართვის ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად დასვა სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბების საკითხი. კონცეფცია ასევე ითვალისწინებდა სოციალური პარტნიორობის იდეასაც. აღნიშნული საკითხები აისახა დაწესებულების მართვის დონეზე (მუხლი 30, პუნქტი 1).

დაფინანსება და ქონება

პროფესიული განათლების დაფინანსების უზრუნველსაყოფად კონცეფციაში მრავალფეროვანი წყაროებია მოყვანილი. კერძოდ: „პროფესიული განათლების განვითარების ფონდი“, ბიუჯეტის მიზნობრივი სახსრები, გრანტები, ქველმოქმედებიდან მიღებული სახსრები და სხვა კანონიერი შემოსავალი.

კანონპროექტში არ აისახა „პროფესიული განათლების განვითარების ფონდის“ ჩამოყალიბების იდეა. სამაგიეროდ კონცეფციისაგან განსხვავებით მიზნობრივი დაფინანსების პარალელურად შემოღებულია ვაუჩერული დაფინანსება (მუხლი 32, პუნქტი 2). როგორც ზოგადი განათლების ვაუჩერულმა დაფინანსებამ გვიჩვენა, მცირეკონტიგენტთან სკოლებში არამც თუ ვაუჩერი, არამედ ზოგჯერ გაზრდილი ვაუჩერიც კი არა არის საკმარისი სასკოლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით მხოლოდ ვაუჩერულმა დაფინანსებამ შეიძლება ფინანსური პრობლემა შეუქმნას მცირეკონტიგენტთან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

კანონპროექტი უფრო ყოვლისმომცველია, მასში ცხადია მეტი კონკრეტიკაა და ასახულია ისეთი საკითხებიც, რომელიც განხილული არ ყოფილა ან ნაკლები ყურადღება მიექცა კონცეფციაში. ცხადია, ეს არ წარმოადგენს ნაკლოვანებას. რაც მთავარია, კონცეფციამ მოამზადა ამოსავალი პრინციპები, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა კანონპროექტის შემუშავება.

4. კანონპროექტის დადებითი მხარეები

კანონპროექტს “პროფესიული განათლების შესახებ” უდავოდ მრავალი ღირსება გააჩნია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვემოთ მოვიყვანოთ ყველა ის დადებითი სიახლე, რომელიც ამ კანონპროექტს ახასიათებს.

- 1. ქვეყანაში განათლების სისტემის ჰარმონიზაცია** – ამ კანონპროექტის წარმოდგენით საბოლოოდ ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, რომელიც მას ორგანულად აკავშირებს “უმაღლესი განათლების შესახებ” (2004) და “ზოგადი განათლების შესახებ” (2005) კანონებთან და ქმნის საერთო ჩარჩოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონტექსტში. როგორც კანონპროექტის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, საქართველოში განათლების სისტემა ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს: ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა სტუდენტის მუშაობის მოცულობაზე – კრედიტებზე – გათვლით; ბ) სხვადასხვა დონის სასწავლო პროგრამების მიზნებისა და შინაარსის თავსებადობა და ურთიერთკავშირი; გ) სწავლების შეფასება შედეგების მიზედვით. საერთო მიდგომების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში განათლების სისტემის ჰარმონიზაციას, რამაც, თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს სწავლის მსურველთა მიერ სასწავლო გზის შეუზღუდავი და ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება.
- 2. თანადროულობა** – ეს კანონპროექტი პასუხობს ახალი დროის გამოწვევებს, რომლებსაც საგანმანათლებლო სისტემის წინაშე ქვეყანაში შექმნილი ახალი სოციო-ეკონომიკური ვითარება აყენებს.
- 3. დაახლოება ევროპულ ტენდენციებთან** – კანონპროექტი ეხმაურება პროფესიული განათლების სფეროში ევროპულ რეფორმებს, კერძოდ კოპენჰაგენის პროცესს და ამით ხელს უწყობს საქართველოს დაახლოებას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზართან.
- 4. შრომის ბაზართან კავშირის გამლიერება** – სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა პროფესიულ სასწავლებლებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის, ამ უკანასკნელთა აქტიური ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებაში, სასწავლებლების მართვასა და ა.შ. ცალსახად შეუწყობს ხელს პრაქტიკასა და რეალურ მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებას. კანონპროექტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სწავლების მიზნები და შინაარსი უნდა დაუკავშირდეს შრომის ბაზრის მოლოდინებს.
- 5. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება** უზრუნველყოფს კვალიფიკაციების გაგებისა და აღიარების გამარტივებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპულ კონტექსტში; აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვას და განათლების მიღების მსურველთა თავისუფალ ტრანსფერს ერთის მხრივ, სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურებს, და

მეორეს მხრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შრომის ბაზარს შორის.

6. **არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემოღება** – პირველად ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში შემოდის არაფორმალური განათლების ცნება და მისი აღიარების მექანიზმები ატესტაციის განმახორციელებელი ორგანოების მეშვეობით.
7. **რეგულირებადი პროფესიების გამოყოფა სახელობო სწავლების დონეზე** – კანონპროექტი “პროფესიული განათლების შესახებ” აგრძელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში დამკვიდრებულ მოთხოვნებს და სახელობო განათლების სფეროშიც აღნიშნავს რეგულირებადი პროფესიების არსებობას. ასეთი პროფესიების ჩამონათვალის არსებობა უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და შესაბამისად, მაღალ ხარისხს.
8. **სახელობო სწავლების ხარისხის ამაღლება** – მართალია, კანონპროექტის მიხედვით სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაცია არაა გათვალისწინებული, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს პროგრამები შემუშავდება და განიხილება წინასწარ დამტკიცებული პროფესიული სტანდარტების მიხედვით იძლევა მათი ხარისხის გარანტიას. შეიძლება ითქვას, რომ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ფუნქციას გარკვეულწილად ითავსებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, რაც ცალსახად მისასაღებელი ფაქტია.
9. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დეფინიცია** – უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შემდეგ ამ კანონპროექტით საბოლოოდ გაიმიჯნა კოლეჯი, ინსტიტუტი და უნივერსიტეტი განათლების საფეხურების მიხედვით.
10. **საკრედიტო სისტემის დანერგვა პროფესიული განათლების სფეროში** – ეს ცალსახად დადებითი მოვლენაა, რაც საშუალებას მოგვცემს სასწავლო პროცესი სტუდენტზე ორიენტირებული იყოს და მის დატვირთვას ემყარებოდეს.

5. კანონპროექტის ნაკლოვანებები

დადებითი მხარეების გვერდით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნია კანონპროექტს, აგრეთვე უნდა მიეთითოს ამ ნაკლოვანებებით გამოწვეული მოკლე- და გრძელვადიანი საფრთხეები (რისკები) და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები და მეთოდები.

1. კანონპროექტში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით **ტერმინოლოგიურ შეცდომებს**. მაგალითად, განმარტებულია არაფორმარული განათლების ცნება, მაშინ როდესაც არსებობს არაოფიციალური განათლების ცნებაც, რომელიც პროფესიული განათლების სფეროსათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია; არასწორედაა განმარტებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო: ჯერ ერთი, რომ იგი არაა საერთო ეროვნული და მეორეც, იგი განმარტებულია როგორც პროფესიათა სისტემატიზაცია და არა საკვალიფიკაციო დონეთა ურთიერთდაკავშირებული, გამჭვირვალე სტრუქტურა; სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე რიგ შემთხვევებში ჩანაცვლებულია უწყვეტი განათლების ცნებით და ა.შ. გარდა ამისა, სასურველია, რომ არსებობდეს თანხვედნა ტერმინების განმარტებებს შორის, რომლებიც მოცემულია კანონებში “უმაღლესი განათლების შესახებ” და “ზოგადი განათლების შესახებ”, რადგანაც წარმოდგენილი კანონპროექტი და ზემოთხსენებული ორი კანონი საქართველოში განათლების სისტემის ჰარმონიზაციას ემსახურება. ასე მაგალითად, აღნიშნული კანონპროექტის მეორე მუხლში მოცემული ისეთი ტერმინები როგორცაა “დიპლომირებული სპეციალისტი” და “პროფესიული ასოციაცია” სხვაგვარადაა განმარტებული “უმაღლესი განათლების შესახებ კანონში”. ამდენად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების მომზადება “უმაღლესი განათლების შესახებ კანონისათვის” და მათი ერთიან პაკეტში მიღება. გაუგებრობას ბადებს ტერმინი “პროფესიული სტუდენტი” - ვფიქრობთ საჭირო არაა სტუდენტების ამგვარად დაყოფა. იმ შემთხვევაში როდესაც აუცილებელია განათლების საფეხურების მიხედვით სტუდენტთა დაყოფა სასურველია გამოვიყენოთ ტერმინები: “სახელობო სასწავლებლის სტუდენტი” ან “უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი”.

ტერმინოლოგიური შეცდომების გამოსწორება პრინციპული საკითხია, რადგანაც ცნებების აღრევას შესაძლოა სამართლებრივი პრობლემები მოყვეს, რაც თავის მხრივ შეაფერხებს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებას.

2. სამწუხაროდ, კანონპროექტი “პროფესიული განათლების შესახებ” არაფერს ამბობს **მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის** შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაცხადებულია კანონპროექტში, როგორც პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიზანი და ამოცანა (მუხლი 3 პუნქტი “1”, ქვეპუნქტები “გ” და “ზ”) და მისი მნიშვნელობა ხაზგასმითაა აღნიშნული კანონპროექტის წინასიტყვაობაშიც.

6. რისკ-ფაქტორები

კანონპროექტისა და პროფესიული განათლების სფეროში არსებული ვითარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მიგვაჩნია სამომავლო მუშაობის პროცესში.

6.1 მოკლევადიანი საფრთხეები

- **საატესტაციო ორგანოების არარსებობა** – მოსალოდნელია, რომ ძალიან ბევრი ამჟამად უკვე დასაქმებული ან დასაქმების მსურველი მოინდომებს არაფორმალურად/კერძოდ შესწავლილი პროფესიის/ხელობის ვალიდურობის დადასტურებას, რადგანაც ამის შესაძლებლობას უკვე ოფიციალურად კანონი იძლევა. კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულია, რომ “საატესტაციო ორგანო შეიძლება იყოს იურიდიული პირი ..., რომელიც მოიპოვებს აღიარებას კანონმდებლობით დადგენილი წესით”, რაც ნიშნავს, რომ საატესტაციო ორგანოს აღიარების წესის განსაზღვრისათვის საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება. შემდგომ (მუხლი 6, პუნქტი “5” და “6”) განსაზღვრულია, რომ “საატესტაციო ორგანოს თითოეული პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის ადგენს ეროვნული პროფესიული სააგენტო, ხოლო ატესტაციის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით”. ამავდროულად, საატესტაციო ორგანოების შექმნა არ არის გაწერილი დროში. სასურველია, საზოგადოებამ მიიღოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდიდან გახდება შესაძლებელი არაფორმალური განათლების აღიარება ოფიციალურ დონეზე.
- **მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა არარსებობა** – კანონპროექტში მოცემული განმარტების თანახმად, მასწავლებელსა და ინსტრუქტორს გავლილი უნდა ქონდეს “აკრედიტირებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების მოცულობით” (მუხლი 21, პუნქტი “1” და “3”). აქ იგულისხმება პროგრამული აკრედიტაცია, რამდენადაც პედაგოგიკა რეგულირებადი პროფესიაა ((მუხლი 21, პუნქტი “2”). ამჟამად საქართველოში არც ერთი საგანმანათლებლო პროგრამა არაა აკრედიტირებული და უფრო მეტიც, ჯერ არ არსებობს რეგულირებადი პროფესიების, მათ შორის პედაგოგიკის კურსების პროგრამული აკრედიტაციის კრიტერიუმები. შესაბამისად, მასწავლებლები და ინსტრუქტორები, რომლებიც დააკმაყოფილებენ კანონპროექტში მოცემულ დეფინიციას, საქართველოში სავარაუდოდ უახლოესი 2 წლის განმავლობაში მაინც არ გვეყოლება. კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში (მუხლი 37, პუნქტი “8”) ეს ვადა 2013 წლამდეა გაგრძელებული. ვფიქრობთ, რომ ეს ძალზედ შორეული ვადაა. თითქმის 7 წლის განმავლობაში სახელობო განათლების სასწავლებლების სერტიფიცირებული მასწავლებლის გარეშე დატოვება უარყოფითად იმოქმედებს განათლების ხარისხზე და შესაბამისად იმ პრესტიჟზეც, რომლის ამაღლებაზედაც წარმოდგენილი კანონპროექტი ზრუნავს. სასურველია აღნიშნული ვადის 2010 წლით შეცვლა (იხ. რეკომენდაციები). უნდა

აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში "ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის" განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ვადიან პერიოდში განსახორციელებლ მიმართულებებში 1.16 პუნქტით ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული განათლების ცენტრების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შემოღება მოცემულია 2006-2010 ვადებში.

- ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს **ინსტრუქტორთა მომზადება**. კანონპროექტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსტრუქტორს (ისევე როგორც მასწავლებელს) "გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტირებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების მოცულობით". თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინსტრუქტორს, მასწავლებლისგან განსხვავებით, მოსწავლეებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ევალება და მას სულ მცირე, შესაბამის პროფესიულ სფეროში 3 წლის გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეს (მუხლი 2, პუნქტი "თ", მუხლი 21, პუნქტი "3"), ნაკლებ მიზანშეწონილად გვესახება ამ კატეგორიის სპეციალისტების მომზადება ისეთივე საგანმანათლებლო პროგრამით და სერტიფიცირება ისეთივე წესით, რომელიც მასწავლებლებისთვისაა გათვალისწინებული. ასე მაგალითად, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს შემდუღებლების ან კალატოზების მოსამზადებელ სახელობო პროგრამას, მაშინ პროფესიონალმა შემდუღებელმა და კალატოზმა, რომელიც კარგი პრაქტიკოსია, ინსტრუქტორად მუშაობის უფლების მოპოვებისათვის შესაბამისი აკრედიტირებული საგანმანათლებლო კურსი უნდა გაიაროს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მაღალი კლასის პროფესიონალს საკმარისი დრო აღმოაჩნდეს მსგავსი კურსის გასავლელად: მასწავლებელთა მომზადების კონცეფციის თანახმად, ყველაზე უფრო ხანმოკლე საგანმანათლებლო კურსი 60 კრედიტიანია, ანუ მისი ხანგრძლივობა საშუალოდ ერთი წელია. სასურველი იქნებოდა, ინსტრუქტორთა მომზადების ვადები და პირობები განსხვავდებოდეს მასწავლებელთა მომზადების წესისაგან (იხ. რეკომენდაციები), წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაჭირდება მაღალი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების მოზიდვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- **სასწავლო-საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებლობა** – საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს ვერც ერთი პროფესიული სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მხრივ. სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა დაკავშირებულია არა მხოლოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებთან, არამედ დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან. ეს კი ხანგრძლივი პროცესია.
- **ფინანსური გარანტიების გაურკვეველობა** – საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში "ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის" განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ვადიან

პერიოდში განსახორციელებლ მიმართულებებში აღნიშნულია პროფესიული განათლების ცენტრების ქსელის ჩამოყალიბება 2006-2010. თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გაწერილ საბიუჯეტო ხარჯებში პროფესიული განათლება ნახსენები არაა. ერთადერთი შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პროფესიული განათლების დაფინანსება განხორციელდება პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაციის“ ფარგლებში.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია დაწყებითი და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნუსხები (საქართველოს მასშტაბით შესაბამისად 69 და 34). აბსოლუტურად ცხადია, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ბევრი მათგანის დახურვა, და/ან ოპტიმიზაციის გამო სხვა სასწავლებლებთან შერწყმა ან პროფილის შეცვლა. ასევე ცხადია, რომ ეს გამოიწვევს ამ სასწავლებლებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებას. ჯერ-ჯერობით ვერსად აისახა ამ ადამიანების **სოციალური დაცვის** მექანიზმები, გაუგებარია, გათვალისწინებულია თუ არა მათთვის ისეთივე სახის კომპენსაცია (მაგ. აკადემიური სტიპენდიის სახით), როგორც ახლა უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი ინსტიტუტების ყოფილი თანამშრომლები იღებენ.
- არსებობს იმის საშიშროება, რომ სახელობო განათლება იქცეს **საკარიერო ჩიხად**. როგორც ცნობილია, სახელობო განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის საფუძველზე (მუხლი 5, პუნქტი “6”). ანუ, მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე მიდის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და იქ მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში ეუფლება ამა თუ იმ პროფესიას (კანონპორექტის მე-7 მუხლის “3” ქვეპუნქტის თანახმად, სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 წელს). სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატის მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმება შრომის ბაზარზე. მაგრამ სურვილის შემთხვევაში ის ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელებას ვერც აკადემიური და ვერც პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით, რადგანაც არ აქვს მიღებული სრული ზოგადი განათლება (ამჟამად 11 წელი, 2008/2009 სასწავლო წლიდან კი – 12 წელი), რაც უმაღლესი განათლების მიღების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, სერტიფიკატის მფლობელი უნდა დაუბრუნდეს სკოლას, ეს კი დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ და დროის ხარჯებთან. ამის თავიდან აცილება შესაძლოა პროფესიული განათლების ცენტრსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პარალელური სწავლის საშუალებით (იხ. ქვემოთ). ვითვალისწინებთ რა საქართველოში უმაღლესი განათლების ტრადიციულად მაღალ პრესტიჟს, და გარდა ამისა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უფლებას, მიგვაჩნია, რომ სახელობო განათლების მიღების შემდეგაც საკმარისი რაოდენობის ადამიანს მოუნდება სწავლის გაგრძელება პროფესიულ თუ აკადემიურ უმაღლეს სასწავლებელში.
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და სახელობო ცენტრში **პარალელური სწავლებისას სახელმწიფო დაფინანსების საკითხი** ბუნდოვანია: ანუ, თუ

მოსწავლე სახელმწიფოსაგან იღებს 200 ლარიან ვაუჩერს სასკოლო განათლებისათვის, დააფინანსებს თუ არა იგივე მოსწავლეს სახელმწიფო სახელობო განათლების ვაუჩერით (რომლის ღირებულება ჯერ განსაზღვრული არაა) ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი ამცირებს სახელობო განათლების მომხიბვლელობას მოსწავლეებისათვის, ვისაც თეორიულად სურს მომავალში უმაღლესი განათლების მიღება.

- **სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დეფინიციის დახვეწა** - მე-2 მუხლის “ყ” პუნქტი განმარტავს, რომ სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება “... უშუალოდ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის გარეთ”. ხოლო იმავე მუხლის “ჩ” პუნქტის მიხედვით საწარმოო პრაქტიკა უნდა “ანაზღაურდეს დამსაქმებლის მიერ”. ცხადია, დამსაქმებელი საწარმოო პრაქტიკას თავის საწარმოში, ანუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ უზრუნველყოფს. დეფინიციის ამგვარი დამზვების გამო დამსაქმებლებს უჩნდებათ შანსი, თავი აარიდონ პრაქტიკანტების შრომის ანაზღაურებას პროფესიულ სასწავლებელთან სასწავლო და არა საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულების დადების გზით: ანუ სასწავლებლის სტუდენტები მუშაობენ საწარმოში მაგრამ მათი შრომა არ ნაზღაურდება.

6.2 გრძელვადიანი საფრთხეები

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეფინიციის ტერმინის დეფინიციიდან გამომდინარე (მუხლი2, პუნქტი“ვ”) იგი იქმნება მხოლოდ პროფესიული განათლების კვალიფიკაციებისათვის და პროფესიების სისტემატიზაციის მიზანს ისახავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორგვარ ტერმინოლოგიურ შეუსაბამისობასთან.

1. არსებული განმარტებებიდან გამომდინარე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს აგების პროცესში კონკრეტულიდან მივდივართ ზოგადისაკენ, მაშინ როდესაც ჩარჩო ეს არის განზოგადებული კრიტერიუმების საფუძველზე აგებული საკვალიფიკაციო დონეების ლოგიკური ჯაჭვი. დონის განმსაზღვრელი ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება ამ დონის შესაბამისი კონკრეტული პროფესიების საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება.

2. არასწორია, როდესაც მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციებისათვის შექმნილ დოკუმენტს ვარქმევთ „ეროვნულის“ სახელს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები არსებობს განათლების მთელი სისტემისათვის. ისინი მოცავენ არა მარტო პროფესიულ, არამედ აკადემიური ხარისხების შესაბამის კვალიფიკაციებსაც. ამის დამადასტურებელია ასევე ევროკავშირის სამუშაო დოკუმენტით შემოთავაზებული (Brussels, 8.7.2005; SEC(2005) 957 - "TOWARDS A EUROPEAN QUALIFICATIONS FRAMEWORK FOR LIFELONG LEARNING") 8 დონიანი/საფეხურიანი ჩარჩო, რომლის ბოლო 3 დონე შეესაბამება ბოლონიის პროცესის 3 საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

ამდენად, პროფესიული განათლების რეგულირების მიზნით შექმნილი ეროვნული პროფესიული სააგენტოს კომპეტენციაში ვერ შევა ზემოაღნიშნული 3 საფეხურის შესაბამისი დონეების განსაზღვრა და სტანდარტის დამტკიცება. აქვე მიზანშეწონილია იმის მითითებაც, რომ ბოლონის პროცესის 2005 წლის ბერგენის სამიტზე მიღებული კომუნიკეს თანახმად ყველა მონაწილე ქვეყნის განათლების სამინისტრომ 2007 წლამდე მუშაობა უნდა დაიწყოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოზე. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის ტექნიკურმა ხარვეზებმა მომავალში ხელი არ შეუშალოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს ქვეყანაში არსებულ ყველა კვალიფიკაციას.

- ECVET (ევროპული კრედიტები პროფესიული განათლებისათვის) არადეფინირებულია, მათ შორის ევროპაშიც, რაც გარკვეულწილად ქმნის სახელობო საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის რისკს. უმაღლეს განათლებაში ცნობილია, რომ ევროპის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაში (ECTS) ერთი კრედიტი სტუდენტის მუშაობის 25-30 საათს უდრის, ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია 1500-1800 საათით, ანუ 60 კრედიტით დაიტვირთოს. ეს იძლევა მკაფიო ორიენტირებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის. რადგანაც პროფესიული განათლების სისტემაში კრედიტის საათობრივი ეკვივალენტი ჯერ ცნობილი არაა, გართულდება აკადემიური წლის განმავლობაში პროფესიული სასწავლებლის სტუდენტის მიერ დასაძლევ კოორდინირების განსაზღვრა: არსებობს რისკი, რომ სტუდენტი ან ზედმეტად, ან არასაკმარისად დაიტვირთება, რასაც სათანადო გავლენა ექნება განათლების ხარისხზე.

7. რეკომენდაციები

ქვემოთ აღნიშნული რეკომენდაციები ეხება როგორც “პროფესიული განათლების შესახებ” კანონპროექტში ცვლილებების შეტანას მისი გაუმჯობესების მიზნით, ასევე ზოგადად, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმას.

1. ამ კანონპროექტში, უკვე მოქმედ კანონში “უმღლესი განათლების შესახებ” და სალიცენზიო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა

ტერმინოლოგია:

- კანონის მთელს ტექსტში ტერმინი “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო” უნდა შეიცვალოს ტერმინით “პროფესიული განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო” ან
- კანონში სწორედ უნდა განიმატროს “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო”
- მუხლი 3, პუნქტი “ქ”, ქვეპუნქტი “ზ” უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ნაცვლად სასურველია შემდეგი ფორმულირება: “მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა”.
- ატესტაცია განმარტებულია (მუხლი 2 პუნქტი “ზ”), როგორც “...არაფორმალური გზით მიღებული სახელობო განათლების კვალიფიკაციის მინიჭება...”. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ რეალობას, როდესაც პროფესიული ორგანიზაციები, მაგალითად, ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია აწარმოებენ სპეციალისტთა მომზადებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბუღალტერია, რომელიც ნამდვილად ვერ ჩაითვლება სახელობო განათლების ადეკვატურად, მაშინ დგება ამგვარი გზით მიღებული კვალიფიკაციის აღიარების პრობლემა. შესაბამისად, სასურველია ატესტაციის განმარტებიდან ამოვიღოთ სიტყვა “სახელობო”.
- პროფესიული სწავლების ცენტრი (მუხლი 2, პუნქტი „ფ“) განმარტებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა კანონის მე-12 მუხლის „გ“ პუნქტსა და 27-ე მუხლის მეორე პუნქტში პროფესიული სწავლების ცენტრი მოხსენიებულია ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, განმარტება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პროფესიული სწავლების ცენტრი - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს.“
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის განმარტებები (მუხლი 2, პუნქტები “ყ” და “ჩ” შესაბამისად) უფრო მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, ან უნდა შემოვიდეს ერთი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ცნება.
- ინსტრუქტორის განმარტებაში მითითებულია, რომ მას “გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტირებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების მოცულობით” (მუხლი 21, პუნქტი “ვ”). სასურველია აქვე განიმატროს, რომ ინსტრუქტორის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა ბევრად უფრო მოკლევადიანია და განისაზღვროს მისი კრედიტები, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა ინსტრუქტორებისა და

მასწავლებელთა მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების ერთგვაროვნების შესახებ.

ვადები:

- ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნა 6 თვის განმავლობაში (მუხლი 37 პუნქტი “6”) სრულიად წარმოუდგენელია, თუ გავითვალისწინებთ სამუშაოს მოცულობას, მის მნიშვნელობას და საბაზო ინფორმაციის სიმწირეს (ან ხშირ შემთხვევაში არარსებობას). სასურველია ეს ვადა მინიმუმ ორჯერ – ანუ 12 თვემდე - მაინც გაიზარდოს. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ბოლონის პროცესის 2005 წლის ბერგენის სამიტზე მიღებული კომუნიკეს თანახმად, ყველა მონაწილე ქვეყანის განათლების სამინისტრომ 2007 წლამდე უნდა დაიწყო მუშაობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ეს სამუშაო დროულად დაიწყო, რათა დაცულ იქნეს აღებული ვალდებულებები.
- მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა აკრედიტირებული პროგრამებით მომზადების ვადა 2013 წლიდან შეძლებისდაგვარად უფრო ადრეული ვადით, კერძოდ 2010 წლით უნდა შეიცვალოს (მუხლი 37 პუნქტი “8”).
- მუხლი 37 პუნქტი “12” “2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისამდე საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს ვაუჩერის ოდენობა/ოდენობები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული სწავლების ცენტრების მიერ დაწესებული სწავლის საფასურები”. სასურველია ვადა გადმოწეულ იქნეს 2008-2009 წლებზე.
- სასურველია კანონის გარდამავალ დებულებებში გაიწეროს საატესტაციო ორგანოების შექმნის ვადები. რადგანაც ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ 6 (ჩვენი რეკომენდაციით კი სულ მცირე 12) თვის ვადაში უნდა შეიმუშავოს და დაამტკიცოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, მაშინ სავსებით შესაძლებელია, საატესტაციო ორგანოებმა საქმიანობა 2008 წლის I კვარტლიდან დაიწყო.

სტილისტური ჩასწორებები/მექანიკური შეცდომების გასწორება

- მუხლი 3, პუნქტი 2, „ე“ ქვეპუნქტში სიტყვები „პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე“ უნდა შეიცვალოს „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში“ ან შესაძლებელია „პროფესიული სტუდენტის“ ნაცვლად მხოლოდ „სტუდენტის“ ჩაწერა.
- მუხლი 18 განთლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აქ ან მექანიკური შეცდომაა და უკვე არსებული აკრედიტაციის სახელმწიფო სამსახური მეორე სახელითაა მოხსენიებული, ან საქმე გვაქვს უკვე არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მადუბლირებელი, მეორე, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის მცდელობასთან. ასეთ შემთხვევაში მისი შექმნის მიზანშეწონილობა გასარკვევია
- მუხლი 23, პუნქტი “1” უნდა ამოვიღოთ სიტყვები “კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის”.

- მუხლი 26, პუნქტი “2” აკრედიტაცია ადგენს ...შესაბამისობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ აკრედიტაციის ნორმატივებთან – ნორმატივებს ადგენს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური.
- მუხლი 30, პუნქტი “1” ბოლო წინადადებაში სიტყვა “სტუდენტების” უნდა შეიცვალოს სიტყვით “სწავლების”.

დამატებები:

- მუხლი 2, პუნქტი “ფ” – პროფესიული სწავლების ცენტრი განმარტებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა კანონის მე-12 მუხლის “გ” ქვეპუნქტსა და და 27-ე მუხლის მეორე პუნქტში პროფესიული სწავლების ცენტრი მოხსენიებულია ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, განმარტება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “პროფესიული სწავლების ცენტრი - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს”.
- მუხლი 3 პუნქტი “1”, “ზ” ქვეპუნქტში პროფესიული განათლების ერთ-ერთ მიზანს უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება წარმოადგენს. უკეთესი იქნება თუ გამოვიყენებთ ტერმინს “სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე”, რომელიც გამოყენებულია კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” და ასევე კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ეს ტერმინი უფრო შეესაბამება კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესებში გამოყენებულ ინგლისურენოვან ტერმინს “Lifelong Learning”.
- მუხლი 6, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვების წინ „პროფესიული განათლება“ უნდა დაემატოს სიტყვა „სახელობო“, ვინაიდან პროფესიულ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარება ხორციელდება ლისაბონის კონვენციის შესაბამისად, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს.
- მუხლი 8 პუნქტი “3” – “ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში კონკრეტული კვალიფიკაციის არსებობა არ ზღუდავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, მაგრამ გამორიცხავს მის სახელმწიფო აღიარებას”. სასურველია, კანონპროექტის ამ მუხლს დაემატოს, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო/ პროფესიების ნუსხა პერიოდულად უნდა განახლდეს და მასში შესაძლოა ახალი პროფესიების შეტანა.
- მუხლი 21, პუნქტი “2” “სახელობო მასწავლებლის საგანმანათლებლო კურსის აკრედიტაციის პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო...” უნდა დაემატოს “პროფესიული ორგანიზაციების მონაწილეობით და სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინებით”. ეს შესწორება შესაბამისობაში მოიყვანს სახელობო მასწავლებლის საგანმანათლებლო კურსის აკრედიტაციის პირობებს “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში დადგენილ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესთან (მუხლი 75, პუნქტი “3”, მუხლი 77, პუნქტი “1”).

2. პროფესიული განათლების ცენტრების სამუშაო გრაფიკისა და პროგრამების მოქნილობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა ყველა მსურველის ინტერესი

დაკმაყოფილდეს – სტანდარტული პროგრამების პარალელურად შემოღებულ უნდა იქნეს შაბათ-კვირის და საზაფხულო კურსები, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები არ დაზარალდნენ და შეძლონ ზოგადი განათლების მიღება. ამ კონტექსტში დისტანციური სწავლების ფორმის შემოღება და გავრცელება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

3. ევროპული ინტეგრაცია – ევროპაში ყალიბდება საერთო საგანმანათლებლო სივრცე კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესების მეშვეობით, რომლებიც შესაბამისად უზრუნველყოფენ პროფესიული და უმაღლესი აკადემიური განათლების სფეროებში ხარისხებისა და კვალიფიკაციების ურთიერთ-აღიარებას, სტუდენტების მობილობის ზრდას და ევროპული განზომილების შემოღებას განათლებისა და ტრენინგის სისტემაში. საქართველო ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყანაა. კოპენჰაგენის პროცესში მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნები მონაწილეობენ, თუმცა საქართველოს შეუძლია მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, გაიზიაროს და დანერგოს ევროპული პრინციპები პროფესიული განათლების სფეროში. მითუმეტეს, ამას ხელს შეუწყობს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში საქართველოს ჩართვა. სასურველია, მეტად იქნეს გათვალისწინებული ევროპული გამოცდილება უშუალოდ სასწავლო პროცესის ორგანიზების მხრივ (იხ. დანართი). გარდა ამისა, ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციების აღიარებას ევროპის შრომის ბაზარზე – ეს გაზრდის არა მარტო ქართული პროფესიული განათლების პრესტიჟს, არამედ ზოგადად, საქართველოს ევროინტეგრაციისათვის უმნიშვნელოვანესი იქნება. შესაბამისად სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის პროცესებში ევროპული სტანდარტებით სარგებლობა, რაც ამთავითვე უნდა განისაზღვროს. რამდენადაც საქართველოში აკრედიტაცია შედარებით ახალი რეალობაა, ჩვენ გვეძლევა უნიკალური შანსი, არა არსებული სისტემა გადავაკეთოთ, არამედ პირდაპირ ევროპული სისტემა დავნერგოთ, რომელიც ჩვენი საშვი იქნება ევროპის შრომის ბაზარზე.

4. რეფორმის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა - ნებისმიერი რეფორმა, და მითუმეტეს, განათლების სისტემისა, უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული და დიდ დროს მოითხოვს. პროფესიული განათლების სისტემის წარმატებულ რეფორმას განაპირობებს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. უკვე აღინიშნა, რომ დამსაქმებლების როლი პროფესიული განათლების სისტემის მართვაში უპრეცედენტოა. მაგრამ უშუალოდ რეფორმის მიმდინარეობისას სასურველია არასამთავრობო სექტორის მონაწილეობაც პროცესების დაჩქარების, ხარჯების გადანაწილების მიზნით. ასე მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაერთონ თუნდაც პროფესიული სასწავლებლების დირექტორების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მომზადებისა და გადამზადების პროცესში სათანადო სამსახურების ამოქმედებამდე. იგივე არასამთავრობებს შეუძლიათ მათი საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით ხელი შეუწყონ საქართველოს პროფესიული განათლების სიტემას ევროინტეგრაციის პროცესში. რეფორმისათვის არასაკმარისი დრო და ინფრასტრუქტურის

არარსებობა უკვე დასახელდა ძირითად საფრთხეებს შორის. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია არასამთავრობო სექტორის ჩართვა რეფორმის პროცესში, რამაც გარკვეულწილად პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაც უნდა განაპირობოს.

- 5. PR კამპანია პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლების მიზნით -** კანონპროექტის წინასიტყვაობაში სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ პროფესიული განათლების პრესტიჟი როგორც საბჭოთა, ისე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, საკმაოდ დაბალი იყო. დღეს, როდესაც სახელმწიფომ გადაწყვიტა პროფესიული განათლების სისტემის ძირეული რეფორმა, მისი პრესტიჟის ამაღლება ერთ-ერთ საკვანძო საკითხად გვესახება. შესაბამისად, აუცილებელია სპეციალური PR კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება, მითუმეტეს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამის სოლიდური გამოცდილება შეიძინა ზოგადი და უმაღლესი განათლების რეფორმის პროცესში. PR კამპანიის სამიზნე უნდა გახდნენ არა მარტო პროფესიული სასწავლებლების პოტენციური სტუდენტები, არამედ მათი დამსაქმებლები, თავად სასწავლებლები, და მთლიანად საზოგადოება. ამასთან მიმართებაში სასურველია, რომ კანონპროექტში აღნიშნული პროფესიული ორიენტაციის სისტემები შეიქმნას არა მარტო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მუხლი 3, პუნქტი “2”, ქვეპუნქტი “ლ”), არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც, რათა მე-9 კლასის შემდეგ მეტმა მოსწავლემ მოინდოდმოს სწავლის გაგრძელება სახელობო სასწავლებლებში.
- სასურველია სპეციალური საინფორმაციო კამპანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება. კანონპროექტის თანახმად უპრეცედენტოა დამსაქმებლების ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, შესაბამისად უნდა ველოდოთ მათი ინფორმირებულობის მაღალ ხარისხსაც. თუმცა სასურველია, რომ საქართველოში ყველა დაინტერესებული პოტენციური დამსაქმებელი იყოს ინფორმირებული პროფესიული განათლების შედეგად მიღებული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების შესახებ, რაც მათ სათანადო პროფესიონალების დაქირავებას გაუადვილებთ.
- და ბოლოს, სასურველია, რომ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის შესახებ მიეწოდოს ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს, რათა ამ მასშტაბითაც უზრუნველყოფილ იქნეს ქართული პროფესიული განათლების მაღალი პრესტიჟი და შესაბამისად, ჩვენი სპეციალისტების ინტეგრაცია საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

8. სამოქმედო გეგმა

(გეგმა სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მხოლოდ ავტორების აზრს გამოხატავს)

სამოქმედო გეგმის მიზანია, დეტალურად გაწეროს პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმის კონტექსტში ჩასატარებელ ღონისძიებათა თანამიმდევრობა ვადებისა და პასუხისმგებელი სტრუქტურების/პირების მითითებით.

ცხადია, შემოთავაზებული გეგმა არაა საბოლოო – მან შესაძლოა ცვლილებები განიცდოს, აქ მხოლოდ ძირითადი ეტაპებია მოყვანილი.

	პრობლემა	რა უნდა გაკეთდეს	ვის მიერ	ვადები
1	კანონპროექტის ხარვეზები	კანონპროექტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფი	2006
2	კანონპროექტის მომზადების პარალელურ რეჟიმში სხვა კანონებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მაგალითად სალიცენზიო კანონმდებლობაში შესაცვლელი იქნება პროფესიული განათლების სახეები.	პროფესიული განათლების კანონპროექტთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების მომზადება და პარლამენტში ერთიან პაკეტად წარდგენა	კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფი	2006
3	პროფესიული დაწესებულების მართვის სფეროში გამოცდილების არარსებობა	ხელმძღვანელების პერიოდული ტრენინგი, მართვის, ბიუჯეტის დაგეგმვის და სხვა საკითხებში	შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2006-2007
4	პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კრედიტების დანერგვის შესახებ ინსტრუქციის არარსებობა	სპეციალურად პროფესიული განათლების ცენტრებისათვის შესაბამისი ინსტრუქციის მომზადება	განათლების სამინისტრო	2006-2007
5	გამოცდილების არარსებობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ კრედიტების გამოყენების თაობაზე	ტრენინგების ჩატარება პროფესიული განათლების ცენტრების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების ტრენინგი	შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტები	2007

6	არ არსებობს სოციალური პარტნიორობის განვითარებული სისტემა	ხელი უნდა შეეწყოს დიალოგს სოციალურ პარტნიორებს შორის, შესაძლებელია ეს განხორციელდეს ქსელების ჩამოყალიბების მეშვეობით	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2006-2007
7	პროფესიული განათლების სფეროში „ევროპასის“ დანერგვის ხელშეწყობა. მაგალითად სერტიფიკატის დანართის შემოღება	შემუშავდეს სერტიფიკატის დანართის შევსების ინსტრუქცია	განათლების სამინისტრო	2007-2008
8	სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სტრატეგიის საგანმანათლებლო სასწავლებლების დონეზე არ არსებობა	პროფესიულ სასწავლებლებს გაეწიოთ შესაბამისი დახმარება ტრენინგებისა და კონსულტაციების სახით, რათა მათ დებულებებში მოხდეს შესაბამისი პოლიტიკის ასახვა	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2006-2007
9	უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სიმწირე	კონსულტაციები და ტრენინგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით	საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებელთა ასოციაციები	2006-2008
10	პროფესიული განათლების პრესტიჟი	1. პროფესიული განათლების PR, შესაბამისი სატელევიზიო გადაცემები, კლიპები, ლიფლეტები 2. პროფესიული ორიენტაციის სქემების შემუშავება და დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში	სოციალური პარტნიორები	2006-2007

11	პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დაბალი დონე	მოსწავლეების, მშობლების, დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების, პედაგოგების ინფორმირებულობის დონის ამაღლება	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2006-2008
12	საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავების სირთულე	განხორციელდეს კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესების დაახლოვება და ერთიანი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება	შესაბამისი სამინისტროები, პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, დარგის ექსპერტები	2007-2008
13	პროფესიული განათლების სფეროში რეგულირებადი პროფესიების ნუსხის არარსებობა	პროფესიების ნუსხის ჩამოყალიბება	ეროვნული პროფესიული სააგენტო	2007
14	დაბალია მეწარმეთა ინფორმირებულობა და შესაბამისად მზადყოფნა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად	დამსაქმებლებისა და პროფესიული ასოციაციების ჩართულობის ამაღლება	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2006-2007

დანართი

ევროპული ინტეგრაცია პროფესიული განათლების სფეროში

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა პროფესიული განათლების სფეროში ახორციელებს რეფორმას. აღნიშნულ რეფორმას ევროპაში საფუძველი დაუდო ლისაბონის სტრატეგიამ (მარტი, 2000), რომლის თანახმადაც 2010 წლისათვის ევროპაში უნდა იყოს ყველაზე კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო გახდა არა მარტო ევროპული ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ ასევე განათლების სისტემის მოდერნიზაცია. 2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროკავშირის განათლების მინისტრების მიერ მიღებულ იქნა კოპენჰაგენის დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც საფუძველი დაუდო კოპენჰაგენის პროცესს და რომელიც ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის კოოპერაციის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ევროკავშირმა აღნიშნული დოკუმენტით დაადასტურა თავისი მისწრაფება 2010 წლისათვის გახდეს მსოფლიო ლიდერი პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ხარისხიდან გამომდინარე. აღნიშნულის მისაღწევად კოპენჰაგენის დეკლარაციით დაისახა კონკრეტული პრიორიტეტები:

ევროპული განზომილება

- პროფესიულ განათლებასა და ტრენინგის სისტემაში ევროპული განზომილების გაძლიერების მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც ხელს შეუწყობს და წახალისებს მობილობას, ინსტიტუტებს შორის კოოპერაციას, პარტნიორობასა და სხვა საერთაშორისო ინიციატივებს. ეს აუცილებელია საერთაშორისო კონტექსტში ევროპული განათლებისა და ტრენინგის პროფილის ასამაღლებლად, ამგვარად, მოსწავლეთათვის ევროპა აღიარებულ უნდა იქნეს როგორც საერთაშორისო ათვლის წერტილი.

გამჭვირვალობა, ინფორმირება და კონსულტირება

- პროფესიულ განათლებასა და ტრენინგის სფეროში გამჭვირვალობის ამაღლება საინფორმაციო ინსტრუმენტებისა და ქსელების დანერგვისა და რაციონალიზაციის მეშვეობით. მათ შორის ისეთი უკვე არსებული ინსტრუმენტების ინტეგრირება, როგორცაა ევროპული რეზიუმე (European CV), დიპლომისა და სერტიფიკატის დანართი, ენის ცოდნის საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო (The Common European Framework of Reference for Languages) და EUROPASS-ი;
- გაძლიერედეს პოლიტიკა, სისტემები და პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების ინფორმირებასა და კონსულტირებას განათლების, ტრენინგისა და დასაქმების ყველა დონეზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში როგორცაა სწავლის ხელმისაწვდომობა, პროფესიული განათლება და ტრენინგი, კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ტრანსფერი და აღიარება, რათა ხელი შეეწყოს პროფესიულ და გეოგრაფიულ მობილობას ევროპაში.

კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების აღიარება

- შესწავლილ იქნეს, თუ როგორ შეეწყობა ხელი სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა დონეებს შორის კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების გამჭვირვალობას, შესადარობას, ტრანსფერსა და აღიარებას სარეკომენდაციო დონეების, სერტიფიცირების საერთო პრინციპებისა და საერთო ზომების (მათ შორის კრედიტების ტრანსფერის სისტემა პროფესიული განათლებისა და ტრენინგისათვის) შემოღებით;
- კოოპერაციისა და კოორდინაციის გაძლიერების, ასევე სოციალური პარტნიორების ჩართულობის მეშვეობით გაიზარდოს მხარდაჭერა სექტორულ დონეზე კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების განვითარებისათვის;
- შემუშავდეს საერთო პრინციპების სისტემა არაფორმალური განათლების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, იმ მიზნით, რომ გარანტირებულ იქნას მაღალი ხარისხის თავსებადობა სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა დონეების მიდგომებს შორის.

ხარისხის უზრუნველყოფა

- ხელი შეეწყოს თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოდელებისა და მეთოდების გაცვლას, ისევე როგორც პროფესიულ განათლებაში ხარისხის საერთო კრიტერიუმებისა და პრინციპების შემუშავებას;
- ყურადღება გამახვილდეს მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების სასწავლო საჭიროებებზე.

ზემოაღნიშნულმა ოთხმა პრიორიტეტმა კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში საფუძველი დაუდო პროფესიულ განათლებას და ტრენინგის სფეროში საერთო ევროპული სივრცის ფორმირებას. პროცესის განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს „სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე სტრატეგიის ფარგლებში ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო დოკუმენტის“ შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი ევროპის დონეზე კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესების სინქრონული განვითარების შედეგია.

ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესში მყოფი ევროპული პროფესიული განათლების სისტემის საერთო და მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს:

- სოციალური პარტნიორების აქტიური მონაწილეობა პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებაში და შრომის ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება;
- პროფესიული განათლების პროგრამების „სენდვიჩის“ პრინციპზე აგება;
- პრესტიჟი საზოგადოებაში;
- რეფორმების კონტექსტში ახალი ტიპის უმაღლესი პროფესიული განათლების (მოკლე ვადიანი) პროგრამების დანერგვა;
- „ევროპას-ის“ დოკუმენტაციის დანერგვა;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება.

ევროპული ქვეყნების პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემა

(ნიდერლანდების, დანიისა და ესტონეთის მაგალითი)

- **ნიდერლანდები**

პროფესიული განათლების სისტემა შედგება საშუალო, უმაღლესი პროფესიული და ზრდასრულთა განათლების პროგრამებისაგან. პროფესიულ განათლებაში მონაწილეთა ასაკი ვარიირებს 16-დან 64 წლამდე, თუმცა მონაწილეთა 95% არის 22 წელს ქვემოთ.

საშუალო პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია 16 წლიდან. საშუალო პროფესიული განათლება ხორციელდება ოთ განსხვავებულ სფეროში:

- ტექნოლოგია;
- კომერცია/ადმინისტრირება;
- მომსახურება/ჯანდაცვა
- სოფლის მეურნეობა.

პროფესიულ კურსებს მიყვებართ შესაბამისად უფრო მაღალი დონის კურსებისაკენ. თითოეული კურსისათვის არსებობს ორი სასწავლო გზა: პროფესიული განათლება სადაც პრაქტიკული სწავლება მერყეობს 20-დან 60%-მდე და კურსები სადაც პრაქტიკული ნაწილი კურსის 60%-ზე მეტია. კურსები განსხვავდებიან დონეებისა და ხანგრძლივობის მიხედვით:

- მომზადება ასისტენტის/შეგირდის დონეზე: 6 – 12 თვე;
- საბაზო პროფესიული მომზადება(ტრენინგი): 2 - 3 წელი;
- პროფესიული მომზადება: 2 - 4 წელი;
- საშუალო დონის მენეჯერის მომზადება: 3 – 4 წელი;
- სპეციალისტის ტრენინგი: 1 – 2 წელი;
- სხვა კურსები: სულ მცირე 15 კვირა.

საშუალო პროფესიული განათლების ყველა კურსი (ან ოფიციალურად კვალიფიკაცია) შეტანილია „პროფესიული კურსების ცენტრალურ რეესტრში“ (CREBO, *Centraal Register Beroepsopleidingen*). რეესტრში მითითებულია თუ რომელი დაწესებულება რომელ კურსს უზრუნველყოფს, კურსის გავლის შემდეგ რა კვალიფიკაცია ენიჭება, როგორია სასწავლო გზები და რომელ კვალიფიკაციების ვალიდურობისთვისაა საჭირო გარე შეფასება. მასში ასევე ასახულია თუ რომელი კურსია დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ და რომელ ორგანოები არიან უფლებამოსილნი გამოცდების ვალიდურობაზე. მასში რეესტრირებულია 700 კვალიფიკაცია.

ეროვნული კვალიფიკაციების სტრუქტურა შემოღებულ იქნა 1996 წელს. კვალიფიკაციების სტრუქტურა საშუალო პროფესიული განათლებისათვის მოცავს მომზადების (ტრენინგის) 4 დონეს.

- **პირველი დონე:** კურსები ასისტენტის/შეგირდის დონეზე სტუდენტებს აძლევს საშუალებას განახორციელონ მარტივი საშემსრულებლო დავალება. ეს

კურსები შემუშავებულია მათთვის ვისაც არ შუძლია საბაზო კვალიფიკაციის მიღება (დონე 2), მაგრამ შეუძლია სერტიფიკატის მიღება.

- **მეორე დონე:** საბაზო პროფესიული ტრენინგი ამზადებს სტუდენტს განახორციელოს სამუშაო/სამემსრულებლო ამოცანა უფრო მაღალ დონეზე. ამ დონეზე გაცემული დიპლომი ექვივალენტურია საბაზო კვალიფიკაციებისა, რომელიც წარმოადგენს იმ კვალიფიკაციის მინიმუმს, რომელიც ყველას უნდა გააჩნდეს.
- **მესამე დონე:** პროფესიული განათლების დიპლომის მფლობელს შეუძლია განახორციელოს დასმული ამოცანა დამოუკიდებლად. მას ასევე უნდა შეეძლოს საკუთარ ქმედებებზე კოლეგებისათვის ანგარიშის ჩაბარება. ინსტრუქტირება და ზედამხედველობა გაუწიოს სხვების მიერ სტანდარტული პროცედურების შესრულებისას.
- **მეოთხე დონე:** საშუალო დონის მენეჯერის ან სპეციალისტის განათლება ამზადებს სტუდენტებს დასმული ამოცანის სრულიად დამოუკიდებლად განსახორციელებლად, რაც კომბინირებულია მოცემულ სფეროში ამოცანათა ფართო სპექტრის შესრულების შესაძლებლობასთან. სტუდენტს უნდა შეეძლოს იმის ჩვენება, რომ ფლობს ისეთ არასპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, როგორცაა სტრატეგიული და ტაქტიკური აზროვნება და შეუძლია დაიკავოს ადგილი, რომელზეც მას ექნება იერარქიული, ფორმალური და ორგანიზაციული პასუხისმგებლობები.

საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები ხორციელდება რეგიონული ტრენინგ ცენტრების მიერ. 2001/2002 სასწავლო წელს არსებობდა 43 ასეთი ცენტრი. ისინი ახორციელებდნენ მრავალფეროვან პროგრამებს ზრდასრულთა განათლების დასწრებულ და დაუსწრებელ კურსების ჩათვლით. სასოფლო-სამეურნეო კურსები ორგანიზებულია სასოფლო-სამეურნეო ტრენინგ ცენტრების მიერ. პროფესიული განათლების კურსები სოფლის მეურნეობასა და გარემოს სექტორში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, ბუნების მენეჯმენტისა და მეთევზეობის სამინისტროს პასუხისმგებლობას.

კანონმდებლობის შესაბამისად ყველას შეუძლია ჩაერთოს პროფესიული მომზადების პირველ და მეორე დონეზე (მომზადება ასისტენტის/შეგირდის დონეზე; საბაზო პროფესიული მომზადება). აქ არა არსებობს წინა განათლების არანაირი პირობა.

პროფესიული და საშუალო დონის მენეჯერის პროგრამებზე დაშვებისათვის საჭიროა ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი. სპეციალისტის ტრენინგის კურსებზე დასაშვებად საჭიროა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია.

სოციალური პარტნიორობა

დამსაქმებლები და შესაბამისი სფეროს პროფესიული კავშირები მონაწილეობენ იმ პროფესიული განათლების ეროვნულ ორგანოებში, რომლებიც აყალიბებენ არსებულ კვალიფიკაციებს. განათლებისა და ინდუსტრიის კოოპერაციის შედეგად 1999 წელს ჩამოყალიბდა ტექნო ცენტრები. ამ ცენტრებს სამგვარი მიზანი აქვს, კერძოდ,

გააუმჯობესოს :განათლებისა და დასაქმების კავშირი, ცოდნის შემდგომი გავრცელება და გამოყენება, თანამედროვე აღ ურვილობის ერთობლივი გამოყენება.

სასწავლო დატვირთვა

კანონმდებლობის შესაბამისად ტრენინგ ცენტრებს უნდა უზრუნველყოთ სწავლების 1000 საათი თითოეული კურსის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში. თუმცა კანონმდებლობაში უნდა შესულიყო ცვლილება და საკონტაქტო საათების მაგივრად მთელი სასწავლო დატვირთვის მაჩვენებელი უნდა შემოეღო.

უმაღლესი პროფესიული განათლება

დაშვება უმაღლეს პროფესიულ განათლებაზე ხორციელდება საშუალო სკოლის, საშუალო დონის მენეჯმენტის ან სპეციალისტის სერტიფიკატით ან წინასაუნივერსიტეტო განათლების სერტიფიკატით. 21 წლის ასაკს მიღწეული პირები, რომლებიც არ ფლობენ აღნიშულ კვალიფიკაციებს შესაძლებელია დაშვებულ იქნენ ამ საფეხურზე სპეციალური მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ. ზემოაღნიშნული კვალიფიკაციის მფლობელები დაშვებულნი უნდა იქნენ უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში, მაგრამ სპეციალობების მიხედვით შესაძლებელი დამატებითი პირობების წამოყენებაც სასწავლებლების მიერ. მიღება სასწავლებლებში ხორციელდება ცენტრალიზებული წესით.

სწავლების ხანგრძლივობა 4 წლიანია და სასწავლო დატვირთვა 240 კრედიტს უტოლდება. 1 კრედიტი სტუდენტის დატვირთვის 28 საათს უდრის.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი პროფესიული განათლება ხორციელდება შემდეგ 7 სფეროში: განათლება, ეკონომიკა, ქცევა და საზოგადოება, ენა და კულტურა, ტექნოლოგია და ინჟინერია, სოფლისმეურნეობა და ბუნებრივი გარემო, ჯანმრთელობის დაცვა.

პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტები წარმატებულ სტუდენტებს ანიჭებენ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს.

დაფინანსება

პროფესიულ განათლებაში სტუდენტები იხდიან სწავლების გადასახადს, მაგრამ მათ აქვთ უფლება მიიღონ სახელმწიფო დახმარება გრანტისა და დამატებითი გრანტის სახით. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მშობლების შემოსავალზე.

- **დანია**

დანია განეკუთვნება იმ განვითარებული ქვეყნების რიცხვს, სადაც პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემას ძლიერი ტრადიციები გააჩნია. მიუხედავად ამისა ათწლეულების განმავლობაში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ხორციელდებოდა მიმდინარეობდა აღნიშნული სისტემის დახვეწა.

ამჟამად დანიის პროფესიული განათლების სისტემა მოიცავს დაწყებით, უმაღლეს პროფესიულ და ზრდასრულთა მომზადების პროგრამებს. ჩვეულებრივად, დაწყებით პროფესიულ პროგრამებზე მიღების ერთადერთ პირობას სავალდებულო განათლება წარმოადგენს. დაწყებითი პროფესიული პროგრამები ხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში.

პროფესიული კოლეჯები სექტორების გაყოფილია 4 ძირითად ჯგუფად:

- ტექნიკური კოლეჯი;
- ბიზნეს კოლეჯი;
- სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი;
- სოციალური და ჯანდაცვის კოლეჯი.

გარდა ამისა დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს შრომის ბაზრის 24 ტრენინგ - ცენტრში. ისინი ჩვეულებრივად უზრუნველყოფენ მოკლევადიან დამატებით კურსებს ვაჭრობის, ინდუსტრიის, სოფლისმეურნეობისა და მომსახურების სფეროში.

დანიის დაწყებითი პროფესიული მომზადება მიმდინარეობს 85 პროგრამითა და 200-ზე მეტი სპეციალიზაციით. VET პროგრამები დაფუძნებულია “სენდვიჩ” პრინციპზე. ყველა პროგრამა ამზადება კვალიფიციურ მუშახელს შრომის ბაზრისათვის. ამათგან ზოგიერთი პროგრამა ამზადებს სტუდენტებს მოკლე ციკლის უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

დანიის 1960 წლიდან ხორციელდება ზრდასრულთა პროფესიული ტრენინგ-პროგრამები. ზრდასრულთა პროგრამები ორიენტირებულია როგორც დაბალ-კვალიფიციურ, ასევე მაღალკვალიფიციური ზრდასრული ადამიანებზე. ზრდასრულთა პროგრამები ჩვეულებრივ პროფესიულ პროგრამებზე მოკლეა და ადაპტირებულია ინდივიდუალური სტუდენტის სამუშაო გამოცდილებასა და საგანმანათლებლო პროფილზე. ზრდასრულთა განათლებაშიც ასევე გამოიყენება “სენდვიჩის” ტიპის პროგრამები. ეს პროგრამები ძირითადად ხორციელდება შრომის ბაზრის ტრენინგ-ცენტრების მიერ.

უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემა მოიცავს ასამდე დაწესებულებას რომლებიც პროფესიაზე ორიენტირებულ პროგრამებს სთავაზობენ სტუდენტებს. ესენია:

- ზემოაღნიშნული პროფესიული კოლეჯები მოკლევადიანი პროგრამებით, ძირითადად 2 წლიანი (Academic Profession Degrees) ხარისხით. მოკლევადიანი პროგრამები დაფუძნებულია დაწყებით პროფესიულ განათლებასა და ტრენინგზე. სწავლება ორგანიზებულია ისე, რომ ზოგადი საგნები (მათემატიკა, ფიზიკა, ენები და ა. შ.) მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესიულ საკითხებთან.
- კოლეჯები საშუალო ციკლის პროგრამებით, ძირითადად ბაკალავრის პროფესიული ხარისხით. აღნიშნული პროგრამები 3-4 წლიანია. მაგალითად, 4 წლიან პროგრამას მიეკუთვნება საინჟინრო სპეციალობები, მასწავლებელთა მომზადება. 3 წლიანი პროგრამებია: სოციალური მუშაკის, ფიზიოთერაპიის, ჰოსპიტალის ლაბორანტის და ა.შ.

უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე გამოიყენება საკრედიტო სისტემა.

- ესტონეთი

90-იანი წლების დასასრულს ესტონეთში დაიწყო პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმა. 1998 წელს ესტონეთის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა კონცეფცია, რომელმაც ჩამოაყალიბა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პოლიტიკისა და რეფორმის ძირითადი საკითხები. 2001 წელს კი მთავრობის მიერ დამტკიცდა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმირების 2001-2004 წლების სამოქმედო გეგმა. სოციალური პარტნიორები ჩართულნი არიან რეფორმირების პროცესში პროფესიული საბჭოები მეშვეობით, რომელიც ჩამოყალიბდა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან. პროფესიული საბჭოების საქმიანობა რეგულირდება კანონმდებლობით.

პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სავალდებულო ასევე საშუალო განათლების მიღების შემდეგ. სასწავლო პროგრამები შესაბამისი ხანგრძლივობისაა. 3 წელი სავალდებულო განათლების ბაზაზე და 1-2,5 საშუალო განათლების ბაზაზე. პროფესიული განათლების თითქმის ყველა დაწესებულება სთავაზობს მომხმარებლებს საღამოს და დისტანციური სწავლების კურსებს.

პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბდა რეგიონული პროფესიული განათლების ცენტრები. ცენტრი უზრუნველყოფს დაწყებით პროფესიულ განათლებას, ზრდასრულთა განათლებას, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა ტრენინგს და სხვა.

ზრდასრულთა განათლება რეგულირდება ცალკე კანონით, რომლითაც გარანტირებულია სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

2002 წლის უმაღლესი განათლების განახლებული სტანდარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა Applied Higher Education. იგი წარმოადგენს არასაუნივერსიტეტო უმაღლეს პროფესიულ განათლებას ესტონეთში. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები შემუშავებულია პროფესიული განათლების სწავლების საფუძველზე. პროფესიული უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში (Rakenduskool), ამასთან უნივერსიტეტებსაც შეუძლიათ პროფესიული პროგრამების განხორციელება. გამოყენებითი ხასიათის პროგრამების ხანგრძლივობა 3-4,5 წელია (120-180 ესტონური კრედიტი. 1 ესტონური კრედიტი შეესაბამება 1,5 ESTS) და ექვივალენტურია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საბაკალავრო სწავლებისა.

წყაროები

1. კანონპროექტი “პროფესიული განათლების შესახებ” (2006) www.mes.gov.ge
2. პროფესიული განათლება - დასაქმებისათვის: წინასიტყვაობა www.mes.gov.ge
კანონპროექტისთვის “პროფესიული განათლების შესახებ” (2006)
www.mes.gov.ge
3. მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფცია
(2006) www.mes.gov.ge
4. საქართველოს მთავრობა ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-
2010 წლებისათვის (2006) www.mof.gov.ge
5. პროფესიული განათლების კონცეფცია (2005) www.mes.gov.ge
6. 2010 წლამდე საქართველოში ბოლონიის პროცესის განხორციელების
ძირითადი მიმართულებები და სამოქმედო გეგმა (2005)
www.bologna-supporters.ge
7. Equivalence of general and vocational education – New ways to strengthen
alternance training. (2005) 14 th European Training and Continuing Training
Congress Materials www.weiterbildungskongress.de
8. "TOWARDS A EUROPEAN QUALIFICATIONS FRAMEWORK FOR LIFELONG
LEARNING" Brussels, (2005) www.eu.int
9. ბერგენის კომუნიკე (2005) www.bologna-supporters.ge
10. CEDEFOP (European Centre for the Development of Vocational Training) Annual
report 2005 www.cedefop.eu.int
11. Focus on the Structure Higher Education in Europe (2004/05) National Trends in the
Bologna Process EURYDICE
12. CEDEFOP (European Centre for the Development of Vocational Training) Annual
report 2004 www.cedefop.eu.int
13. სწავლების სტრატეგია ადგილობრივი განვითარების პროექტებში:
სიტუაციური ანალიზი (2004) ევროპის განათლების ფონდის ობსერვატორია
საქართველოში
14. Review of Vocational Education and Training and Development in Georgia (2003)
ETF, www.etf.eu.int
15. Structures of education, vocational training and adult education systems in Europe,
European Commission, Eurydice (2003)
16. Профессиональное образование и обучение в Грузии (2002) ETF, www.etf.eu.int
17. The Copenhagen Declaration (2002) www.eu.int
18. Lisbon Strategy. European Council, Lisbon, (2000)
http://ec.europa.eu/education/policies/2010/et_2010_en.html